



მენორა

გამოდის
1993 წლის
მარტიდან

ღამოუკიდებელი ებრაული ბაჰეითი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

თებერვალი
(აღარი)
№2 (376)
(5773)
2013

“מנורה”

עיתון יהודי

בגוריה



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ისრაელის პრეზიდენტს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი დავოსში ისრაელის პრეზიდენტს შიმონ პერესს შეხვდა. პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრა კონგრეს-ცენტრში, თბილ და მეგობრულ გარემოში წარიმართა. ივანიშვილმა და პერესმა საქართველოსა და ისრაელის მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის შესახებ ისაუბრეს და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები დასახეს.

აბრამ მიხაელი (მინელაშვილი) და ციფი ხოტოველი კვლავ ისრაელის ქანსეთის წევრები არიან

ისრაელში ჩატარდა ქნესეთის მე-19 მოწვევის რიგგარეშე არჩევნები. ქნესეთში სავარძლების მოსაპოვებლად (ალბათ, ზედმეტია ჩვენს მკითხველს შევახსენოთ, რომ შვიდმილიონიანი ისრაელის პარლამენტში 120 დეპუტატს ირჩევენ) 32 პარტია იბრძოდა. საარჩევნი ბარიერი გადალახა 12 პარტია.

არჩევნების შედეგად მანდატები ასე განაწილდა: ბლოკმა ლიკუდი — ისრაელ ბეთიენუ (ეს გახლავთ ნეთანიაჰუსა და ლიბერმანის ბლოკი), მოიპოვა 31 მანდატი, პარტიამ „იემ ათიდ“ — 19 მანდატი „ავოდამ“- 15, „ებრაულმა სახლმა“ — 12, აღმოსავლეთის ებრაელთა ორთოდოქსურმა რელიგიურმა პარტიამ — „შასი“ — 11 მანდატი, ამკენაზთა ორთოდოქსურმა პარტიამ „იედუთ ჰა თორა“ — 7, „თნუა“ — 7, „მერეცი“ — 7, კომუნისტური პარტია — 4, „კადიმა“ — 2 და ა. შ.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ლიკუდმა ამ არჩევნებში გაცილებით ნაკლები მანდატი მიიღო, ვიდრე წინა მოწვევის პარლამენტში. მე-18 მოწვევის არჩევნებისას მან ქნესეთში 28 მანდატი მოიპოვა, წელს კი „ისრაელი ჩვენი სახლია“-სთან გაერთიანებულმა მხოლოდ 31, მაშინ, როცა 38-40 მანდატს ვარაუდობდნენ.

ამ არჩევნების სიურპრიზი აღმოჩნდა ახლად დაარსებული პარტიის — „იემ ათიდის“ დამაჯერებელი გამარჯვება. ჟურნალისტი იაირ ლაპიდის პარტიის ასეთი წარმატება გვახსენებს მისი მამის, ასევე ცნობილი ჟურნალისტის ტომი ლაპიდის მიერ მე-17 მოწვევის პარლამენტში გამარჯვებას. მაშინ, მანაც ასევე მოულოდნელ წარმატებას მიაღწია, მაგრამ არჩევნებში გამარჯვება უფრო იოლი აღმოჩნდა, ვიდრე მისი შენარჩუნება და საქმით განმტკიცება — ქნესეთის მე-18 მოწვევის პარლამენტში „შინუიმ“ ერთი მანდატიც კი ვერ მიიღო.

ისრაელის პრეზიდენტმა თავის რეზიდენციაში მიიწვია პარლამენტში შესული პარტიების ხელმძღვანელები.

30 იანვარს ქვეყნის პრეზიდენტს ეახლნენ ბლოკ ლიკუდი — „ისრაელი ჩვენი სახლია“-ს და „იემ ათიდის“ წარმომადგენლები. მათ განაცხადეს, რომ შედიან კოალიციაში და მთავრობის მეთაურად სურთ იხილონ ბინიამინ ნეთანიაჰუ. კოალიციას უერთდებიან „შასი“, „ებრაული სახლი“ და სხვ.

ასე, რომ ბინიამინ ნეთანიაჰუ ქმნის კოალიციას, რომელშიც მას ექნება 75 მანდატი — დამაჯერებელი საპარლამენტო უმრავლესობა.

2 თებერვალს ქვეყნის პრეზიდენტმა შიმონ პერესმა მთავრობის შედგენა დაავალა ბინიამინ ნეთანიაჰუს. ნეთანიაჰუს განკარგულებაშია 28 დღე. ამ ხნის განმავლობაში მან უნდა მოახერხოს პორტფელის ისე განაწილება, რომ კოალიციაში შემავალი ყველა პარტია დაკმაყოფილდეს. თუ ნეთანიაჰუ ამ პროცესს 28 დღეში ვერ დაასრულებს, პრეზიდენტს შეუძლია ორი კვირით გაუხანგრძლივოს მთავრობის შექმნის ვადა.

ასე რომ, ისრაელის მთავრობა მემარჯვენე ხასიათისა იქნება, თუმცა, სავარაუდოა, რომ კოალიციაში ცენტრისტიებიც შევლენ.

ქნესეთის მე-19 მოწვევის არჩევნები ჩვენთვისაც ერთობ სასიამოვნო აღმოჩნდა — პარლამენტის წევრები ქართველი ებრაელებიც გახდნენ: აბრამ მიხაელი და ციფი ხოტოველი. აბრამ მიხაელმა მოხსნა ეფრაიმ გურის სარეკორდო მაჩვენებელი — იგი მესამედ გახდა ისრაელის ქნესეთის წევრი. ჩვენი გაზეთი ხშირად წერს აბრამ მიხაელის თაობაზე, მაგრამ მკითხველს მაინც შევახსენებთ: წინა მოწვევის პარლამენტში იგი შასის ფრაქციის თავმჯდომარე გახლდათ. ყოველთვის მხურვალედ ეხმაურება ქართველ ებრაელთა გასაჭირს — გვერდში უდგას მას.

ციფი ხოტოველი ბინიამინ ნეთანიაჰუს პარტიის „ლიკუდის“ წევრია. გაერთიანებულ პარტიულ სიაში იგი პირველთაგანი იყო.

ამ დღეებში ისრაელის პრესა წერს, რომ ციფი ხოტოველი თხოვდება. გაზეთები მომხიბლავი ახალგაზრდა დანიშნულების ფოტოებსაც აქვეყნებენ. იმასაც წერენ, რომ შესაძლოა, ციფი ხოტოველმა ახალ მთავრობაშიც დაიკავოს ადგილი.

და კიდევ ერთი გარემოება: როგორც აბრამ მიხაელი, ასევე ციფი ხოტოველი წარმოშობით კულაშიდან არიან.



პირველ სხდომაზე კოლეგები ციფი მიხაელს დანიშნვას ულოცავენ.

პოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო დღე თბილისში



28 იანვარს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში მარინე სოლომონიშვილმა, საერთაშორისო ფონდი „ლეა“-ს, ებრაელ ქალთა საერთაშორისო საბჭოს პრეზიდენტმა, ჩაატარა პოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი შეხვედრა, აქვე წარმოდგენილი იყო თემისადმი მიძღვნილი ქ-ნ მარინეს გრაფიკის გამოფენა.

მარინე სოლომონიშვილმა, დამსწრეთ მოახსენა მეორე მსოფლიო ომის დროს საკონცენტრაციო ბანაკ „ოსვენციმ ბირკენაუს“ თაობაზე, აღნიშნულ თემაზე აჩვენა ფილმი, ისაუბრა მსხვერპლთა ისტორიაზე და აჩვენა მათი იმდროინდელი ნამუშევრების ვირტუალური გამოფენა. ხაზი გაუსვა, რომ მნიშვნელოვანია ხელოვანთა თვალთ დანახული პოლოკოსტი, სადაც აისახება ის ტანჯვა, რაც მათ გადაიტანეს. ითქვა, რომ დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად ყოველწლიურად აღინიშნება სამი მნიშვნელოვანი თარიღი: „იომ ჰა შოა“, „9 ნოემბერი - ბროლის ლამის“ „მსხვერპლთა ხსოვნის დღე“ და „პოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო დღე - 27 იანვარი“.

„პოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო დღე - 27 იანვარი“, მიღებულ იქნა 2005 წლის 1 ნოემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციით 60/7, რადგან 1945 წლის 27 იანვარს მოკავშირეთა ჯარების მიერ გათავისუფლებულ იქნა ერთ-ერთი ყველაზე დიდი საკონცენტრაციო ბანაკი ოსვენციმ ბირკენაუ (პოლონეთი).

II მსოფლიო ომის დროს მთელი გერმანია ებრაელების მიმართ მასობრივად რეპრესიებმა მოიცვა. გერმანიის ფაშისტური რეჟიმის და მისი მოკავშირეების მიერ დაახლოებით 6 მილიონი ევროპელი ებრაელი მიზანმიმართულად იყო განადგურებული იმ ერთადერთი მიზეზის გამო, რომ ისინი ებრაელები იყვნენ. ნაცისტური იდეოლოგია და მმართველობა მიზანმიმართულად ანადგურებდა არა მხოლოდ ებრაელებს, არამედ მათი აღქმით სხვა „რასობრივად არასრულფასოვნად“ მიჩნეულ ადამიანთა ჯგუფებს, ბოშებს, შავკანიანებს.

წელს გაერომ პოლოკოსტის დღე მიუძღვნა სოლიდარობის სიმამაცეს და იმ გმირებს, რომლებიც, საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავდნენ ებრაელებსა და ფაშიზმის სხვა მსხვერპლთ. ამ კუთხით მრავალი თავდადებული პიროვნების გახსენება შეიძლება. გაიხსენა მათი იტორია, ვინც იყვნენ შერაცხულნი „მსოფლიოს ხალხთა წმინდანებად“. ისრაელის ქნესეთის (პარლამენტის) 1951 წელს მიღებული დადგენილების შესაბამისად, ის არაებრაელები, რომელთაც სიცოცხლის რისკის ფასად გადაარჩინეს ებრაელები, იწოდებიან „მსოფლიოს ხალხთა წმინდანებად“. იერუსალიმში პოლოკოსტის ისტორიის მუზეუმის „იად ვა შემ“ ეზოში არის „წმინდანები“-ს სახელობის ხეივანი. „იად ვა შემ“ მუზეუმის 2012 წლის სტატისტიკური მონაცემებით „მსოფლიოს ხალხთა წმინდანების“ წოდება მინიჭებული აქვს 24 355 ადამიანს, მათ შორის არიან სხვადასხვა ეროვნების და ქვეყნების წარმომადგენელი ცნობილი და უცნობი პიროვნებები (მაგ. გერმანელი ოტო შინდლერი, პოლონელი ირენ სანდლერი, რომელთაც ათასობით ებრაელი გადაარჩინეს, და სხვა). საქართველოდან „მსოფლიოს ხალხთა წმინდანის წოდება მინიჭებული აქვს სერგო მეტრეველს (დაბადებული 1906 წლის 10 ნოემბერს, სოფელ უნერაში, ონის რ-ნი). 1941 წელს იგი იმყოფებოდა ქ. კისლოვოდსკში სამუშაოდ. ემილ ზიგელის ოჯახი ფაშისტებმა დახვრიტეს, ხოლო თავად ემილი (დაბ. 1925 წ. 19 ივლისს) და მისი მამის მეგობარი არკადი რაბინოვიჩი სერგო მეტრეველმა გადაარჩინა. იხსენებს, რომ ისინი ვანო გუგუშვილთან, და ორ უცნობ ქართველთან ერთად კისლოვოდსკიდან გამოაპარეს, 16 დღის განმავლობაში მიდიოდნენ მთის უღელტეხილებით, ურთულესი გზით 486 კმ გამოიარეს და ჩამოვიდნენ საქართველოში, სოფელ უნერაში. შემდგომ ბ-ნი ემილი ჯარში წავიდა და იბრძოდა, ხოლო 1946 წელს ჩამოაკითხა მის მხსნელ ქართულ ოჯახს, რომელთაც იგი ღვიძლი შვილივით მიიღეს.

აქამდე ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი იყო ქართველი სასულიერო პირი გრიგოლ ფერაძე (დაბ. 31.08. 1899), რომელიც დაიბადა თბილისში და მეორე მსოფლიო ომის დროს მოღვაწეობდა პოლონეთში. იგი ეხმარებოდა ებრაელებს, პარტიზანებს, ამიტომ ფაშისტებმა დააპატიმრეს. გრიგოლ ფერაძე 1942 წლის 6 დეკემბერს, დაწვეს გაზის ლუმელში. ორი ვერსიაა ერთის თანახმად, იგი ებრაელი ბავშვის და მამის მაგიერ შევიდა გაზის ლუმელში, ხოლო მეორე ვერსიით პოლონელ ტყვეებს გამოესარჩლა, რომელთაც პურის ქურდობისათვის სჯიდნენ და მათ მაგიერ შევიდა ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის გაზის ლუმელში (ზუსტი ცნობები არაა).

მსგავსი სხვა ისტორიები ალბათ კიდევ იყო, მაგრამ სამწუხაროდ, უცნობია. ამიტომ მნიშვნელოვანია ამ საკითხთან მიმართებით სისტემატიური მუშაობა, კვლევები და ა.შ.

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოს ქვეყნებში ანტისემიტისმის ზრდის ფონზე ძალზედ მნიშვნელოვანია ებრაული სათვისტომოსადმი და ისრაელისადმი თანადგომა. პოლოკოსტის ყოველწლიური აღნიშვნა მარადიული შესხენებაა საზოგადოებისათვის, რომ შეუნყარებლობის მცირე ტალღამაც კი შეიძლება ისეთი ზვირთი ააგოროს, რომ ადამიანთა მოდგმა განადგურების პირას მიიყვანოს. პოლოკოსტის ისტორია აღარ უნდა განმეორდეს.

პოლოკოსტის დღის აღნიშვნის მთავარი მცნებაა – გვახსოვდეს!

- გვახსოვდეს უდანაშაულოდ დაღუპულები!
- გვახსოვდეს ისინი, რომელთაც გმირობა გამოიჩინეს და აღსდგნენ ნაცისტების წინააღმდეგ!
- გვახსოვდეს ისინი, ვინც არაადამიანურ პირობებში არ დაკარგა ადამიანობა!
- გვახსოვდეს ისეთი ადამიანებიც, ვისი უმოქმედობის და გულგრილობის გამოც მოხდა ეს ტრაგედია!

ადამიანის ჰუმანურობას და სიკეთეს ეროვნება არ აქვს, ებრაელების სარწმუნოებაში ნათქვამია „...მან, ვინც იხსნა ერთი სიცოცხლე გადაარჩინა მთელი მსოფლიო“... გაეროს ძირითადი დეკლარაცია ხომ ადამიანის დისკრიმინაციის დაუშვებლობაა განურჩევლად მისი რასის, სქესის, ეთნიკური, რელიგიური კუთვნილებისა.

ლონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ: გაეროს მუდმივი კოორდინატორი და გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში — **ჯაიმი მასპოლდრიკი**, ევროდელეგაციის ხელმძღვანელი — **ფილიპ დიმიტროვი**, ევროკავშირის ატაშე — **ოლივერ რაისნარი**, ისრაელის ელჩი საქართველოში — **იუვალ ფუქსი**, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი საქართველოში **ორტიშინ ჰენიგი**, ბულგარეთის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში — **პლამენ ზონჩაევი**, საბერძნეთის კონსული საქართველოში — **გიორგი პსინაჩასი**, ბ-ნი იტალიის საელჩოს წარმომადგენელი — **ფაბრიციო პოვინო**, პოლონეთის საელჩოს წარმომადგენელი — **პატრიცია პრესლაკივი**, „ჯოინთის“ წარმომადგენელი საქართველოში — **ზოჰარ დავიდი**, ისრაელის სააგენტო „სოხნუთის“ წარმომადგენელი საქართველოში — **ავი ოფირი**, საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე — **თამარ კინწურაშვილი**, რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სამინისტროს წარმომადგენელი — **მაკა ხვიჩია**, სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის კოორდინატორი — **ხაქა მინდიაშვილი**, პაპტისტიური ეკლესიის ეპისკოპოსი — **ილია ოსაფაშვილი**, რაბი **ავიგელახ როზენბლატმა** და რაბი **ავიშაი ბათაშვილი**.

მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ ებრაელთა და სხვა მსხვერპლთა ხსოვნის, ასევე „მსოფლიოს ხალხთა წმინდანების“ პატივსაცემად გაიმართა სანთლის ანთების ცერემონიალი.

რაბი ავიშაი ბათაშვილმა და რაბი ავიმელახ როზენბლატმა წაიკითხეს სულის მოსახსენიებელი ლოცვა.




რუბრიკას უძღვება პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი

ეხიედი თემა ქაითუე მნეხილობაში

ანონ ფურსელაქა

(ნარილი მათი)



შორის ეროვნულ-სარწმუნოებრივი დაპირისპირების ერთი შემთხვევაა კი არ ყოფილა. ამ თვალსაზრისით ვითარების რადიკალურად შეცვლის აქტიურ მცდელობასა და ორ მეგობარ ხალხს შორის ურთიერთობათა გამწვავების მიზანმიმართული პოლიტიკის გატარებას ჩვენში მხოლოდ რუსული კოლონიალიზმის გაბატონების დროიდან ეძლევა დასაბამი.

ეს რომ ნამდვილად ასეა, ამას ისიც ნათლად ადასტურებს, რომ საქართველოსთვის ისტორიულად სრულიად უჩვეულო პირველი ანტიებრაული გამოსვლები ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ მოხდა: მოხისში - 1819 წელს, გორში - 1828 წელს და ა. შ. „მათი ინსპირატორები რუსი მოხელეები და მათი დამქაშები იყვნენ... მანამდე საქართველოში მსგავსი არაფერი მომხდარა და ქართველებს ასეთი საქმიანობის გამოცდილება არ ჰქონდათ“ (ე. მამისთვლიშვილი, ქართველ ებრაელთა ისტორია, 1995 წ. გვ. 220).

ეს ყველაფერი აქ კიდევ ერთხელ იმიტომაც გავიხსენე, რომ ა. ფურცელაძე, მსგავსად ჩვენი ერის დიდი შვილებისა, აქტიურად იბრძოდა საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა ეროვნულ-სარწმუნოებრივი ინტერესების დასაცავად და მათ მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულების ყოველგვარი გამოვლინების დაუყოვნებლივ აღმოსაფხვრელად. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა 1895 წლის „ივერიის“ 246-ე ნომერში გამოქვეყნებული მისი წერილი „ტფილისი, 12 ნოემბერი“, რომელიც მწერალს ქართველებსა და ებრაელებს შორის იმხანად წარმოქმნილი დაძაბულობის განსამუხტად აქვს დაწერილი.

ა. ფურცელაძის აზრით, რჯულშემწყნარებლობა და სხვა ერებისადმი პატივისმცემლური დამოკიდებულება ქართველი ხალხისათვის საზღვარსაღარა და მამახასიათებელი ის თვისებებია, რომელთაც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს ჩვენი ქვეყნის რეალური გადარჩენის საქმეში. მწერალი ქართველი ხალხისათვის ისტორიულად დამახასიათებელ ამ მოვლენას იმ „მაღალ ნაციონალურ თვისებად“ მიიჩნევს, რითაც ქართველი კაცი სავსებით სამართლიანად იწონებდა თავს მთელი ევროპისა და კაცობრიობის წინაშე. მისი თქმით, „იმ დროს, როდესაც საყოველთაო გახდა მთელს ევროპაში დევნა ნაციათა და მეტადრე ისრაელთა, ჩვენ თავმოწონედ შევყურებდით ჩვენს ხალხს, რომელიც სრულიად არ გასდევდა ამ საზოგადო ფეხის ხმას და ისევე ძველებურად შესცქეროდა მასთან შემოხიზნულ ხალხთ და მათ შორის ებრაელებს“.

საქართველოში მცხოვრები არაქართველი და არაქრისტიანი ხალხებისადმი ასეთი შემწყნარებლური დამოკიდებულების მაგალითად ა. ფურცელაძეს დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქის საქართველო მოჰყავს, როცა „ერთი უკეთესი ღირსებათაგანი ქართველი ტომისა - გატანა და თანასწორება შეწყნარება ყოველ რიგის ეროვნებისა და სარწმუნოებისა, რომელნიც კი შემოჰხიზნინან საქართველოს“ - იმჟამინდელი ჩვენი სახელმწიფოებრივი ძლიერების მკვიდრ საფუძვლად იყო ქცეული. ამ თვალსაზრისით „დიდებულს მაგალითს“ უპირველეს ყოვლისა, დავით აღმაშენებელი იძლეოდა. მისი „ამგვარი ქცევა იყო ნაყოფი იმ ერის ხასიათისა და ზნე-ჩვეულებისა, რომელმაც შობა იგი. მისთვის ერთ რიგად საყვარელი და პატივსაცემი იყვნენ ყველა სარწმუნოებისა და მოდგმის ერნი მის ქვეშევრდომთა“.

საყოველთაოდ ცნობილ ამ ჭეშმარიტებას ა. ფურცელაძე ესოდენი დაბეჯითებით იმიტომაც შეახსენებს მკითხველს, რომ 1895 წლის გაზეთ „კავკაზის“ 298-ე ნომერში გამოქვეყნებული წერილის ავტორი

ქართველ ხალხს მზაკვრული განზრახვით სდებდა ბრალს საქართველოში მცხოვრები სხვა ხალხებისადმი მტრულ და უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაში.

ყოველივე ზემოთქმული მწერალმა იმ ინციდენტის გამო გაიხსენა, რომელიც ქუთაისში მომხდარა იმხანად. მისი ინფორმაციით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ებრაელთა მიმართ ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილის კონფლიქტური დამოკიდებულების საფუძვლად ის დანაშაული იყო ქცეული, რომელიც „ერთ ორ ებრაელს“ ჩაუდენია იმხანად ქუთაისში. ა. ფურცელაძის აზრით, ამ დანაშაულში საგანგაშო არაფერია, რადგანაც მსგავსი დანაშაულობანი თვით ქრისტიანთა შორისაც ხდება ხშირად, მაგრამ სრულიად უყურადღებოდ რჩება.

მწერალი უდიდეს აღშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ საზოგადოების ერთმა ნაწილმა ჩადენილი დანაშაული ეროვნულ-სარწმუნოებრივი ნიშნით შეაფასა და იგი მთელი ებრაელობის წინააღმდეგ მიმართულ მოვლენად აქცია. ასეთი რამის გაკეთება ა. ფურცელაძეს მამა-პაპათა ანდერძისა და ჩვეულების სანაწილადმდეგ საქმედ მიაჩნია, უდიდეს უსამართლობად, რადგანაც ამით მტერს კი არა კარის მეზობელს ვუპირისპირდებოდით, „საუკუნეთაგან ჩვენთან ჭირის ოფლის მღვრელს, ჩვენთან თანაბრად ჩვენი უკუღმართი ბედის ჭირისუფალს... უძღურთ, უიარაღოთ, რიცხვით მცირეთ, უმწივოთ, ულონო ერს. ერს ისედაც ბედისაგან დევნილს, დევნილს თავისი ქვეყნისაგან. დევნილს თავისი სარწმუნოებისა, მაღალი ნიჭისა, ძლიერი გონებისა და გაჭირების ატანისათვის“.

ა. ფურცელაძის მტკიცებით, ამგვარი რამის გაკეთება „გზასა წარმართთასა“ დადგომას ნიშნავდა, ჩვენი ერის დიდებული ტრადიციის დაღატაკება და „ქართველთა ვაჟკაცური ქცევისაგან“ გადადგომა.

მიუხედავად იმისა, რომ მსგავს კაცთმოყვარულ და შემწყნარებლურ დამოკიდებულებას ა. ფურცელაძე საქართველოში მცხოვრები ყველა არაქართველისადმი იჩენდა, მათგან ებრაელები მისთვის მაინც გამოჩეულად პატივსაცემ ადამიანებს წარმოადგენდნენ, რადგანაც ისინი ისტორიულად მუდამ უღალატოდ ერთგულნი იყვნენ ჩვენი ერის, ადა-ტრადიციებისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებისა. უფრო მეტიც, მწერლის თქმით, ებრაელები „იქაც კი იცავდნენ ჩვენს ენას, ჩვენს ზნე-ჩვეულებას, სადაც თვით ქართველთაც კი დაუკარგავთ თავის ენა, თავისი ზნე-ჩვეულება, თავისი ხასიათები“.

ა. ფურცელაძის დამონმეული წერილის შეფასების დროს მხედველობიდან არც ის გარემოება უნდა გამოგვრჩეს, რომ ებრაელთა ინტერესების აქტიურად დამცველისა და გამომქომაგებლის როლში მწერალი იმ დროს გამოდიოდა, როცა ევროპის ბევრ ქვეყანასა და რუსეთში ანტისემიტურ გამოსვლებს უაღრესად ფართო მასშტაბები ჰქონდა შექმნილი.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ებრაელები ხალხისადმი ა. ფურცელაძის აშკარად კეთილგანწყობითი დამოკიდებულება ფაქტობრივად მთელი ჩვენი საზოგადოების თვალთახედვის გამომხატულებასაც წარმოადგენდა და მასში გადაჭარბებული და ტენდენციური არაფერი იყო. ეს რომ მართლაც ასეა, ამას ა. ფურცელაძის ხსენებულ პუბლიკაციასთან დაკავშირებით გაზეთ „კვალის“ 1895 წლის 49-ე ნომერში გამოქვეყნებული აკაკის „საჭირო პასუხიც“ ნათლად ადასტურებს, სადაც მწერალმა კიდევ ერთხელ გამოხატა სურვილი იმისა, სწავლა-განათლების გზაზე ენერგიულად დადგომით ქართველი ებრაელობა უფრო აქტიურად ჩართულიყო ჩვენი ქვეყნის სამომავლო განვითარების პროცესში.

ებრაელობისადმი ქართველ მწერალთა ხაზგასმულად პატივისმცემლური დამოკიდებულების გამომვლელ ერთ-ერთ ფართოდ გავრცელებულ ფორმად მათ მიერ ბიბლიურ თემებსა და სიუჟეტებზე მხატვრული ნაწარმოებების შექმნა იქცა. ქართულ მწერლობაში ა. წერეთლის მიერ სათავედადებული ამ ტრადიციამ კიდევ უფრო ფართო მასშტაბები შეიძინა იმ პერიოდისა და შემდგომი ხანის ჩვენი მწერლების შემოქმედებაში. ამ თვალსაზრისით მეტად საგულისხმო დამსახურება ანტონ ფურცელაძესაც (1839-1913 წწ.) მიუძღვის. 1896 წელს დაწერილი მისი ხუთმოქმედებიანი ტრაგედია „ასული ისრაელისა“ ფაქტობრივად იმ ამბის მხატვრული განვრცობა-გადამუშავების ახალ ვარიანტს წარმოადგენს, რომელიც ძველ ალექსანდრიის იველიის წიგნის სახელითაა შესული. ა. ფურცელაძის ტრაგედიის სიუჟეტიცა და მოქმედ პირთა უმეტესობაც თითქმის ადეკვატური სიზუსტით შეესაბამება ამ ბიბლიური ეპიზოდის შინაარსსა და მიზანსწრაფვას.

ძველი ალექსანდრიის კარგად ცნობილ ამ ამბავს ა. ფურცელაძემ არა მარტო მისი სიუჟეტური დრამატიზმის გამო მიაპყრო მკითხველის ყურადღება, არამედ ორი უმთავრესი გარემოების გათვალისწინებითაც: ერთი მხრივ, ამით მან კიდევ ერთხელ გამოხატა ნათლად და მკაფიოდ უღრმესი პატივისცემა ებრაელი ხალხის გმირული ისტორიული წარსულისადმი, მეორე მხრივ კი მონობის კირთებისაგან თავისი სამშობლოს განთავისუფლებისათვის თავგანწირვით მებრძოლ ებრაელთა მხატვრული სახეების შექმნით ანალოგიური სულისკვეთების გაღვივება იმხანად რუსეთის იმპერიის უღელქვეშ მდებარე ქართველი ხალხის ცნობიერებაშიც სცადა.

გარდა მხატვრული შემოქმედებისა, ებრაული საკითხით დაინტერესებამ ა. ფურცელაძის პუბლიცისტიკაშიც პოვა გამოვლინება. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა მწერლის ის წერილები, რომლებშიც მან მკაცრად და უკომპრომისოდ გაილაშქრა იმ ცილისმწამებლური ჭორების წინააღმდეგ, რასაც ებრაელთა წინააღმდეგ ავრცელებდა ხელისუფლება იმხანად საზოგადოების უბირ და მოვლენებში სათანადოდ გაუთვითცნობიერებულ ნაწილში.

მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ბრალდებების შედეგად ქართველი საზოგადოების გარკვეულ ნაწილსა და ებრაელებს შორის ურთიერთობა დროდადრო ეროვნულ-სარწმუნოებრივი დაპირისპირების რეალურ საშიშროებასაც აშკარად ქმნიდა, საბედნიეროდ, იგი ანტისემიტისმში არასოდეს გადაზრდილა და ამგვარ მცდელობებს ქართველებსა და ებრაელებს შორის ისტორიულად დამკვიდრებული მეგობრული ურთიერთობისათვის სერიოზული ვნება არ მოუტანია.

როგორც დოკუმენტური წყაროებით ეჭვმიუტანლად დასტურდება, ჩვენს ქვეყანაში რუსული მმართველობის დამყარებამდე ქართველებსა და ებრაელებს

პოეზიის სღამო

ნანა ბერაძე თბილისის მოზარდმაყურებელთა თეატრის მსახიობი, მოგვიანებით კი თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის პედაგოგი, კარგა ხანია იერუსალიმში ცხოვრობს და აქაც თავის საქმეს აკეთებს. საკმაოდ წარმატებული მსახიობი ახლა დეკლამაციის ფორში გვევლინება და ასევე წარმატებით ხიბლავს მაყურებელს. მის მიერ წაკითხული ქართული მწერლობის ნიმუშები ისრაელის რადიოს „კოლ ისრაელის“ ქართული რედაქციის მიერ ხშირად გადაიცემა.

6 თებერვალს კი იერუსალიმში გამართა პოეზიის სღამო. ამჯერად იგი ნანა დავარაშვილი-დავარის პოეზიის ნიმუშებით წარსდგა აუდიტორიის წინაშე. ამ სღამოს ახასიათებდა ორი დიდი ხიბლი. პირველი: ნანა ბერაძე ჩინებულად დეკლამირებდა, დროდადრო „თამაშობდა“ კიდევ ლექსებს, და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მსახიობმა წარმოგვიდგინა საინტერესო პოეტი, დიახაც, დღეს ისრაელის ქართველ ებრაელობას ნანა დავარის სახით ჰყავს შემოქმედი, რომლის პოეტური ნააზრევი მსახიობმა ჩინებულად მიიტანა მაყურებელამდე.

სღამოს დასასრულს დრამატურგმა, მწერალმა გურამ ბათიაშვილმა ისაუბრა ნანა შაბათაშვილი-დავარისა და ნანა ბერაძის შემოქმედებაზე, ნანა დავარმა კი ისაუბრა ნანა ბერაძის შემოქმედებით წარმატებაზე და მადლობა მოახსენა მსახიობს.



საქართველოს ებრაელობა. წარსულიდან მომავლისაკენ

საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის შიშის ათი წლისთავისათვის

(დასაწყისი „მ“ 2012 წ. №14,15,16-17; 2013 წ. №1)

გურამ ბათიაშვილი

დამფუძნებელი ყრილობა.

22 იანვრის დამფუძნებელი ყრილობის ჩატარების ფაქტმა ისრაელის პოლიტიკურ წრეებში ვნებათაღელვა გამოიწვია. ვნებათაღელვის მიზეზი გახლდათ ის, რომ 28 იანვარს ისრაელში იმართებოდა საპარლამენტო არჩევნები. არჩევნების წინა დღეებში საქართველოს ებრაელთა ფორუმზე არიელ შარონის მოწვევა სხვა პარტიების მიერ გაგებულ იქნა, როგორც „ლიუკუდისადმი“ მხარდაჭერის გამოხატულება, უფრო სწორად, კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ ქართველი ებრაელობისადმი იმის მონობა, რომ არჩევნებში მხარი დაუჭიროს „ლიკუდს“. ამის გამო პარტია „ავოდამ“ კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტს სასამართლოში უჩივლა. სასამართლო პროცესმა სხვა პარტიების დაინტერესება გამოიწვია და კონგრესი, მისი დამფუძნებელი ყრილობა ყურადღების ცენტრში მოექცა. სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა მიეცემოდა თუ არა უფლება არიელ შარონს ყრილობაზე მოსვლისა და სიტყვის წარმოთქმისა. სემკ-ის იურიდიულმა სამსახურმა, ადვოკატმა შაულ ცურმა სასამართლო დაარწმუნა იმაში, რომ:

ა) შარონის გამოსვლა ყრილობაზე არ გახლდათ საარჩევნო კამპანიის ნაწილი.

ბ) ყრილობა დანიშნული გახლდათ მანამ, სანამ დაინიშნებოდა არჩევნები. (თავდაპირველი გეგმის მიხედვით დამფუძნებელი ყრილობა 8 იანვარს უნდა გამართულიყო).

გ) შარონის განკარგული ყრილობაზე მოსვლა და სიტყვის წარმოთქმა არჩევნების დანიშვნამდე იქნა გათვალისწინებული.

დ) ყრილობაზე მიწვეული გახლდათ არა „ლიკუდის“ ლიდერი არიელ შარონი, ყრილობაზე უნდა მობრძანებულიყო ისრაელის პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი, სიტყვასაც ისრაელის პრემიერი-საგან, სახელმწიფოს მეთაურისაგან ელოდნენ და არა პარტიის ლიდერისას.

კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტმა იურიდიული გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ მთავარი ეს როდი იყო – ამ პროცესმა კონგრესისადმი ინტერესი კიდევ უფრო გააძლიერა. 20 იანვრიდან ისრაელში ჩამოსვლა იწყეს ცნობილმა რელიგიურმა, თუ საზოგადო მოღვაწეებმა, ბიზნესმენებმა, ებრაული თემებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა. 22 იანვარს იერუსალიმში „ბინიანიე ჰაუმასში“ (კონგრესების სასახლე) მუშაობა დაიწყო დამფუძნებელმა ყრილობამ.

პრეზიდენტში ადგილებს იკავებენ მიხეილ გაბრიელის ძე მირილაშვილი, გაბრიელ მირილაშვილი, ამ სტრიქონების ავტორი, სემკ-ის გენერალური დირექტორი იაკობ ოფირი. ყრილობის თავმჯდომარეობა მე დამევალა. ჩემი შესავალი სიტყვის შემდეგ (2009 წლიდან, მას შემდეგ, რაც კონგრესში ჩემდამი დამოკიდებულება იცვლება, სრულიად სხვა სურათი იხატება: შებრძნადა კონგრესის საიტზე, იქ საერთოდ არ არის ნახსენები ჩემი სახელი — მე თითქოს ყრილობაზე არც ვყოფილვარ. ზნეობრიობისა და სამართლიანობის როგორი მაჩვენებელია?) იაკობ ოფირი აკეთებს ვრცელ მოხსენებას კონგრესის მიერ ერთ წელიწადში გაწეული მუშაობის თაობაზე.

ყრილობამ მოისმინა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ქართველ ებრაელ ლიდერთა გამოსვლები. დღის პირველ ნახევარში სიტყვები წარმოსთქვეს: ქ. აშკელონის ვიცე-მერმა შაბთაი ცურმა, პროფესორმა დავით ბააზოვმა, ნიუ-იორკის ქართველ ებრაელთა თემის პრეზიდენტმა ბენი ატანელოვმა, საქართველოს პარლამენტის წევრმა, მწერალმა ჯემალ აჯიაშვილმა, ქ. თბილისის მორწმუნე ქართველ ებრაელთა საზოგადოების თავმჯდომარემ შალვა ქოსაშვილმა, „ჯონის“ კურატორმა კავკასიაში მიერ ზიზოვმა, ქ. ანტიკერპენის (ბელგია) ქართველ ებრაელთა თემის პრეზიდენტმა ლეონ რიჟინაშვილმა.

მცირე შესვენების შემდეგ ყრილობის დღე-გატემა მუშაობა კომისიებში განაგრძეს.

კონგრესის საქმიანობაში დიდი ყურადღება მიექცევა საკომისიო მუშაობას, სწორედ კომისიებში მომზადდება ის საკითხები, რომელსაც უნდა დაეყრდნოს კონგრესის ხელმძღვანელობა. ამ მიზნით შეიქმნა შემდეგი კომისიები: რელიგიის (თ-რე იცხაკ გაგულა), მეცნიერების (თ-რე დავით ბააზოვი, განათლებისა და ისტორიული მემკვიდრეობის შესწავლის (თ-რე შალომ დავიდი), სოციალური და აბსორბციის (თ-რე ფინხაზ მიხაელი), კულტურის (თ-რე იოსებ ბარდანაშვილი), ქალთა (თ-რე თამარ მამისთვალაოვი), სპორტისა და ტურიზმის (თ-რე ბორის ჩანანაშვილი), პრესის და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების (თ-რე რუბენ ენოხი), საგარეო ურთიერთობის (თ-რე ავთ. აბრამიშვილი). მცირე შესვენების შემდეგ სწორედ კომისიებში გაიმართა აზრთა ცხოველი გაზიარება მის ნევრთა საინტერესო საკითხებზე.

ცალკე შეიკრიბნენ ბიზნესმენები. აქ საუბარი მიდიოდა კონგრესის საარსებო საშუალებებზე. იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს ბიზნესმენტა მონაწილეობა კონგრესის მუშაობაში. აქვე გაიმართა საუბარი და მიღებული იქნა გადაწყვეტილება იმაზე, თუ ვინ უნდა იყოს კონგრესის პრეზიდენტი. კამათში მონაწილეობდნენ: ილია მოსიაშვილი, გელოდი ნანიკაშვილი, შალვა მარდი, რევაზ არენსი, ისაკ მიხელაშვილი და სხვ.

დღის მეორე ნახევარში გაგრძელდა პლენარული სხდომა. კამათში მონაწილეობდნენ ნიუ-იორკის ქართველ ებრაელთა სალოცავის მთავარი რაბინი აბრამ აშვილი, საქართველოს ებრაელთა ფედერაციის თავმჯდომარე აარონ ხენი (ნიუ-იორკი), საქართველოს მთავარი რაბინი არიელ ლევინი, რუსეთის ფედერაციაში სემკ-ის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ბენ-ციონ შალვაშვილი, ქალთა კომისიის თავმჯდომარე თამარ მამისთვალაოვი, კინომცოდნე ოთარ სეფიაშვილი (ქ. ნიუ-იორკი), განათლებისა და ისტორიული მემკვიდრეობის შესწავლის კომისიის თავმჯდომარე, მთარგმნელი შალომ დავიდი, მოსკოვის ქართველ ებრაელთა სალოცავის ხელმძღვანელი ამირან მიხელაშვილი, სანკტ-პეტერბურგის მთ. რაბინი მენახემ პევეზერი, ბიზნესმენი დავით შალოლაშვილი (ქ. მოსკოვი), იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი შალვა ჩიკვაშვილი (ქ. თბილისი), ქოენი რაფიელ მესენგისერი (თბილისი).

ბევრი ამათგანის გამოსვლა, რასაკვირველია, იყო ერთობ საინტერესო, კონგრესის შემდგომი მუშაობისთვის სასარგებლო.

ბატონმა ისაკ მიხაელმა (ქ. ბუდაპეშტი) გამოაცხადა ამუთის (დამფუძნებელთა) და ბიზნესმენტა კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება: საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტი ხდება **მიხაელ ბაბრიელის ძე მირილაშვილი**.

შაბთაი ცურმა გამოაცხადა ამუთის (დამფუძნებელთა) გადაწყვეტილება: საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის თავმჯდომარეები ხდებიან: **პროფესორი შალვა მარდი, აშკელონის ვიცე-მერი შაბთაი ცური და მწერალი გურამ ბათიაშვილი, მათი მოადგილეები: დავით ბააზოვი, შალვა დავიდი და აბრამ მიხაელი**.

ვიცე-პრეზიდენტთა სია ზუსტდება. **საპატიო ვიცე-პრეზიდენტები: ჯემალ აჯიაშვილი, იცხაკ გაგულა, ბენი ატანელოვი (ნიუ-იორკი), ბენ-ციონ შალვაშვილი (მოსკოვი), ლეონ რიჟინაშვილი (ვენა), გელოდი ნანიკაშვილი (ანტვიპრანი) და ისაკ მიხელაშვილი (ბუდაპეშტი)**.

ამით საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის დამფუძნებელი ყრილობა მუშაობას ამთავრებს.

საქართველოს ებრაელთა ფორუმი

სალამოს 8 საათზე დანიშნული გახლდათ საქართველოს ებრაელთა ფორუმი. ფორუმის მიზანი იყო საჯარო გამოცხადება იმისა, რომ საქართველოს ებრაელობამ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი მომავლისაკენ.

ფორუმი „ბინიანიე ჰაუმას“ დიდ, მრავალათასიან დარბაზში იმართებოდა, მაგრამ იმის გამო, რომ ფორუმისადმი ინტერესი ძალიან დიდი გახლდათ და „ბინიანიე ჰაუმას“ დიდძალი ხალხი მოაწყდა, დაცვამ პრემიერ-მინისტრის დარბაზში შესვლა კი შეაჩერა, მანამ სანამ წესრიგში არ მოვიდა გასასვლელები, ამიტომ ფორუმი დაგვიანებით დაიწყო. ნაჩვენები იქნა 15-წუთიანი ფილმი, რომელიც რეჟისორმა სოსო იოსებაშვილმა კონგრესის დაკვეთით ყრილობის წინა დღეებში მოამზადა, ტექსტი კი მე დავწერე. „მე ქონდა დიდებული სამშობლო“. ასე იწყება ქართველი ებრაელის მონოლოგი, იგი გვიამბობს თავისი ცხოვრების გზაზე ნაბუქოდონოსორის დროინდელი რეალობიდან, კონგრესის შექმნის დღემდე. ვრცელი სიტყვით გამოდის საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტი მიხეილ მირილაშვილი. შემდეგ ლაპარაკობს სემკ-ის თანათავმჯდომარე შაბთაი ცური, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე, იერუსალიმის მერი ეჰუდ ოლმერტი. მე ერთობ მოკლედ ვისაუბრე ფილმის „დაგვიანებული კადიმის“ შექმნის თაობაზე — წარვადგინე ფილმი. როდესაც ამ საღამოს გეგმაზე ვმუშაობდით, დაშვებული იქნა მცირე შეცდომა: ნაჩვენები იქნა მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდი ფილმიდან. მოგვიანებით გ. მირილაშვილი სინანულს განიცდიდა: ფილმი მთლიანად უნდა გვეჩვენებინათ, ალბათ, მე უნდა გამომეჩინა მეტი აქტიურობა, მაგრამ მე სწორედ იმიტომ არ ვიაქტიურე, რომ ფილმის ერთ-ერთი ავტორი გახლდით.

მიუხედავად ამისა, **არიელ შარონმა** თავისი გამოსვლა ასე დაიწყო: – მე ამაღლევა ამ ფილმის ხილვამ, ცრემლიც კი მომგვარა. – შემდეგ კი ვრცლად ისაუბრა ქართველ ებრაელობაზე. სიტყვები წარმოსთქვეს ქართველ ებრაელთა მთავარმა რაბინმა რაფაელ ელაშვილმა, ისრაელის სეფარად ებრაელთა სულიერმა ლიდერმა ელიაჰუ ბაქში დორონმა, ისრაელის ქნესეთის ნევრმა, მშენებლობის მინისტრმა ნათან შარანსკიმ, ბუნარელ ებრაელთა კონგრესის თავმჯდომარემ ლევ ლევაევმა, მომღერალმა იოსებ კობზონმა, ისრაელის პარლამენტის წევრმა იცხაკ გაგულამ, სტუდენტმა გოგონამ ილონა ელაშვილმა მადლობა მოახსენა კონგრესს, იმ 250 სტუდენტის სახელით, რომელსაც მიეცა ერთჯერადი სტიპენდია – 1000 შეკელი.

შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ იოსებ კობზონი, ვახტანგ ტატიშვილი, აშდოდის თეატრალური კოლექტივი, ანსამბლი „შამანა“, აშკელონის მოცეკვავეთა გუნდი, მომღერლები – მორის ჯანაშვილი, ბუჭუნა მოშიაშვილი და სხვ.

ყრილობის წინ საქართველოს პრეზიდენტმა – ბ-ნმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ სიამოვნებით მიიღებდა მონაწილეობას ყრილობის მუშაობაში, იგი თბილისში რომ გამართულიყო. ბატონი პრეზიდენტი ისრაელს ვერ გაემგზავრა. ყრილობის სტუმარი გახლდათ საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე. ბატონი ავთანდილ ჯორბენაძე შეხვდა ისრაელის პრეზიდენტს მოშე კაცავს, მინისტრებს, დაათვალიერა იერუსალიმის სინაგოგები. ფორუმზე კი მშვენიერი სიტყვაც წარმოსთქვა.

ყრილობის დღეებში ისრაელში მონვეულნი გახლდნენ იმერეთის მხარის გუბერნატორი თემურ შაშიაშვილი, ქ. ქუთაისის მერი ნუგზარ ფალიანი, საქართველოს პარლამენტის წევრი მელიორ ტყეშელაშვილი, ქ. რუსთავის მერი მერაბ ტყეშელაშვილი, მცხეთა-თიანეთის ყოფილი გუბერნატორი კობა ბუჩუკური, ვანის გამგებელი ალექო ბელთაძე.

სტუმრები

ყრილობის წინ საქართველოს პრეზიდენტმა – ბ-ნმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ სიამოვნებით მიიღებდა მონაწილეობას ყრილობის მუშაობაში, იგი თბილისში რომ გამართულიყო. ბატონი პრეზიდენტი ისრაელს ვერ გაემგზავრა. ყრილობის სტუმარი გახლდათ საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე. ბატონი ავთანდილ ჯორბენაძე შეხვდა ისრაელის პრეზიდენტს მოშე კაცავს, მინისტრებს, დაათვალიერა იერუსალიმის სინაგოგები. ფორუმზე კი მშვენიერი სიტყვაც წარმოსთქვა.

* * *

ყრილობა დამთავრდა. ზარზე იმი მინყდა. მინყ- და იმათი ხმაურიც, ვინც ყრილობაზე სიტყვა ვერ თქვა, ან ის ვერ მიილო, რასაც ელოდა. ახლა უკვე დგებოდა ჟამი შრომისა.

საქმიანობაც დაიწყო, თუმცაღა, როგორც ზე- მოთ აღვნიშნეთ, კონგრესს საქმიანობა უკვე და- ნყებული ჰქონდა. საჭირო იყო საქმიანობას სისტე- მური ხასიათი მისცემოდა.

28 იანვარს გაიმართა სემკ-ის კომისიების თავმ- ჯდომარეებისა და პრეზიდენტის შეხვედრა. ზოგა- დად მიმოიხილეს კონგრესის სამუშაო გეგმა, ის, თუ როგორ ხედავენ კომისიის თავმჯდომარეები თავიანთ ადგილს კონგრესის საქმიანობაში, წარ- მოდგენილი გეგმების თაობაზე იმსჯელეს რო- გორც თავმჯდომარეებმა, ასევე კონგრესის პრე- ზიდენტმა მიხეილ მირილაშვილმა.

29 იანვარს გაიმართა საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტისა და თანა- თავმჯდომარეების ერთობლივი სხდომა. დღის წესრიგში იდგა კონგრესის სტრუქტურული მუშ- აობის, რეგიონებში საქმიანობის წარმართვის საკითხები.

კონგრესის თავმჯდომარეებს შორის დანაწილ- და ფუნქციები, შედგა უახლოესი სამუშაო გეგმა. დიდი ყურადღება დაეთმო რეგიონებში მუშაობისა და თანხების მოზიდვის საკითხებს.

დიახ, დღესასწაული დამთავრდა, ცხოვრება გაგრძელდა. თბილისში არ წამოვედი, რადგან პასუხისმგებლობას ვგრძნობდი იმ ადამიან- ების წინაშე, რომელსაც დავპირდით, რომ კონ- გრესი ღირსეულად ამოუდგებოდა გვერდში ქა- რთველ ებრაელებს. ამ ეტაპზე პრიორიტეტად მიმაჩნდა ერთობ სერიოზული წამოწყება: უნდა დაგვედგინა, თუ რამდენი ქართველი ებრაელი გახლდათ მსოფლიოში 21-ე საუკუნის დამდეგს. ჩვენი ყურადღების ცენტრში უნდა მოქცეულიყო არა მხოლოდ დემოგრაფიული სურათი, არამედ ქართველ ებრაელთა საზოგადოებრივ-პოლიტი- კური-ეკონომიური მდგომარეობა, გვენადა გე- ცოდნოდა რომელ რეგიონში რამდენი ქართველი ებრაელია, რა არის მათი მთავარი სანუხარი, რო- გორია ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერ- თობა, არის თუ არა ანტისემიტიზმი, როგორია ქა- შრუთის დაცვის დონე, მიმართება ტრადიციებთან და ა.შ.

ერთი სიტყვით, კონგრესს ხელის გულზე უნდა ჰქონოდა ქართველ ებრაელთა ყოფის სურათი.

დაპირებული ვიყავი, თბილისს დავტოვებ, ჩამოვალ გენდირექტორად ვიმუშავებ-მეთქი, დაპირებული ვიყავი, მაგრამ ძალიან მიჭირდა იმ საქმეების მიტოვება, რომელსაც საქართველოში ვაკეთებდი: ვრედაქტორობდი ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებას“, ვცემდი გაზეთ „მენორას“, რო- გორც მწერალი, თეატრალური მოღვაწე აქტი- ურ სისხლსავსე ცხოვრებას ვენეოდი. წინ მედო გაზეთ „მენორას“ 10 წლისთავი. ებრაული ქართუ- ლენოვანი გაზეთის 10-წლოვანი სიცოცხლე საქა- რთველოში ძალიან სერიოზულ ფაქტად მიმაჩნდა და მენადა მაღალ დონეზეც აღმეწინა. იუბილეს გადახდას მაისის თვეში ვაპირებდი. ამიტომ როცა მამა-შვილმა მირილაშვილებმა დანაპირების შეს- რულება მომთხოვეს, შევთავაზე ჯერჯერობით ვერ ვახერხებ, აი, დავით ბაზოვის დაგუძახოთ, შესანიშნავი ოჯახის შვილია, პროფესორი კაცია, კარგად ვიცნობ, პატივს ვცემ, გაზეთის იუბილეს გადავიხდი და მეც ჩამოვალ-მეთქი. მ. მირილაშ- ვილმა – კონგრესის პრეზიდენტმა წინადადება მიიღო, მოიწონა კიდევ. დათო კონგრესში მოვიდა. მუშაობა გააქტიურდა. იმის დასტურად, თუ რა- ოდენ მასშტაბურად მუშაობდა კონგრესი და ქა- რთველი ებრაელობის საჭიროებათა რა ფართო სპექტრს მოიცავდა იგი, მოვიყვან გამგეობის სხ- დომის ერთ ოქმს:

გამგეობის სხდომის ოქმი 27.06.03

მონაწილეობდნენ: დავით ბაზოვი, აბრამ მიხაყ- ლი, არონ ელაშვილი, იაკობ ოფირი.

1. ხაზანუთის დისკების შექმნა 150ცX50მ.=7500 შეკეული.
2. ლილი მაგალის წიგნის შექმნა 50ცX60მ.=3000 შეკეული.
3. კორდონის გაღწერაში ჩვენი მხატვრების ნა-

მუშევართა გამოყენა – დაევალოს დ. ბაზოვის. შემ- დევ სხდომაზე მოიტანოს ამ პროექტის დაწვრილე- ბითი ბიუჯეტი.

4. ქალთა კომისიის მიერ წარმოდგენილი სიმ- ზოზიუმის პროექტი ნოემბერ-დეკემბერში. დაევალოს ქ-ნ თ. კესერაშვილს წამოაყენოს ამ ერთი დღის ჩატ- არების დაწვრილებითი ბიუჯეტი გათვლილი 100 კაცზე.

5. სოციალური კომისია – ხელმოკლე ოჯახების (400 ოჯახი) დახმარება რომ-აშანისათვის. ფ. მიხ- აელმა კომისიის განხილვის შედეგები მოახსენოს. დამტკიცდეს ზრეზიდენტის სპეციალური ფონდიდან დახმარების გაწევა:

მოსწავლეებისათვის ჩანთების დარიგება. დაე- ვალოს ი. ოფირს, შემდეგ სხდომაზე წამოაყენოს კონკრეტული გზა ამ პროექტის განსახორციელე- ბლად.

6. სპორტული კომისია – ფონდიდან გადაიცივოს საქართველოს მაქაბის 4000\$ ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობისათვის. ეთხოვოს გ. ბათიაშვილს წა- მოაყენოს ამ თანხის დაწვრილებითი ანგარიში.

7. ოლიმპიური ნაკრების წევრების სტიპენდიები – ეს საქმე გასარკვევია ბ. ჩაჩანაშვილთან კრიტიკრი- უმების გათვალისწინებით, ოთარ რაგვიშვილის საქმე დამატებით გარკვევას ითხოვს.

8. განათლების კომისია – მხელად აღსაზრდელი ბავშვები – სავარაუდო ბიუჯეტი 70000 შეკეულია, ჩვენი წილია 32000 შეკეული, დანარჩენს იხდის „მიხ- ლალა ლე მანააღ“.

9. ინვალიდ ბავშვთა პროგრამა – აქ არის გარკვეუ- ლი სიმსხველეები, შეეცადოთ ორგანიზაციებთან ურთ- იერთთანამშრომლობით ამ პროგრამის შესრულება. დაევალოს ა. მიხაელს და ი. ოფირს წამოაყენონ შეს- აბამისი მოსახრებები.

10. რელიგიის კომისია – განხილულ იქნა ა. ელაშვილის მიერ გეგმა. დაევალოს ბ-ნ ა. ელაშ- ვილს პროგრამის დეტალური დამუშავება და მისი ბიუჯეტური მხარეც. ეთხოვოს მას ორი კვირის გან- მავლობაში პროექტის წამოყენება. განხილულ იქნა საქართველოში გაგზავნილი მოხეტის მ. ხანანაშვი- ლის წერილი. საკითხის სირთულის გამო გადაწყდა, მომავალ სხდომაზე განხილულ იქნას ეს საკითხი დაწვრილებით.

11. გამგეობამ გადაწყვიტა, უნატრონო მიცვალებ- ულთა და გამოჩენილ მოღვაწეთა საპატრიარქოდ სპე- ციალური ფონდის – „კუფა კტანას“ შექმნა.

ასეთი საკითხები გამგეობის სხდომაზე ხშირ- ად განიხილებოდა. ეს კი ცხადყოფს, თუ რაოდენ მნიშვნელოვან საქმეს შეეჭიდა მირილაშვილების ოჯახი და რაოდენ წინგადადგმული ნაბიჯი იყო კონგრესის შექმნა. ქართველ ებრაელთა ისტო- რიაში, ამ სრულიად ახალი საზოგადოებრივი ინ- სტიტუტისადმი ხალხის ინტერესი იმდენად დიდი იყო, ადამიანები განუწყვეტილად მოდიოდნენ, მო- დიოდნენ არა მხოლოდ იმისთვის, რომ დახმარება ეთხოვნათ, თავთავიანთი პრობლემები გადაე- ყვირათ, არამედ კონკრეტული, საქმიანი წინა- დადებითაც, მოჰქონდათ ახალი იდეები.

ამასობაში ცვლილება მოხდა ნიუ-იორკის ქარ- თველ ებრაელთა ბეით ქნესეთში. ბენი ატანელოვს ბეით ქნესეთის პრეზიდენტობის (გაბაი) კადენ- ცია ამოეწურა. ჩატარდა არჩევნები. პრეზიდენ- ტად აირჩიეს რომან ზაკი (ცხვირაშვილი). რომან ზაკს, შეიძლება ითქვას, ბავშვობიდან ვიცნობდი. ჩემს ფოტოარქივში დღესაც ინახება ყმანვილო- ბისას სურამში თუ წალვერში გადაღებული სუ- რათა, რომელზეც რომანი, ჩემი ძმა – მალხაზი და მე ვართ აღბეჭდილი. შემდეგ იგი ისრაელში ავიდა, დადგა ღირსეული პიროვნება. როდესაც ერთმანეთს კვლავ შევხვდით, უკვე მონიფულობის ასაკში, ძალიან გავიხარეთ. მის სახელს, ღირსებას ბევრი შენატროდა. ალბათ, ამ გარემოებამ განა- პირობა ის, რომ გაბრიელ მირილაშვილმა მიიღო, ჩემი აზრით, არასწორი გადაწყვეტილება: ბენი ატანელოვი ხომ სემკ-ის აშშ-ს განყოფილების ხელმძღვანელიც გახლდათ. გაბრიელმა მიიწა- დინა მისი რომან ზაკით შეცვლა. თუმცაღა, ბენი ატანელოვი ყველანაირად ცდილობდა კონგრესის აშშ-ს განყოფილებას კარგად გაეძლოდა და უძ-

ღებოდა კიდევ. იგი ხომ ჩინებული პიროვნება, ღვთისმოსავი, ქველმოქმედი და ორგანიზატო- რია. გაბრიელს კი მიაჩნდა, რომ კარგი შემოსავ- ლების მქონე ქვინის ბეით ქნესეთის პრეზიდენტი ამ შემოსავლების ნაწილით კონგრესის აშშ გან- ყოფილების საქმიანობასაც დააფინანსებდა. ცხა- დია, ამ მოსაზრებას გარკვეულწილად პოზიტივიც ახლდა, თუმცა, ძალიან ძნელი წარმოსადგენი, თუ როგორ შესძლებდა რომან ზაკი ბეით ქნესეთის შემოსავლებით კონგრესის აშშ განყოფილების საქმიანობის დაფინანსებას. იგი ხომ ჯამაათის წი- ნაშე იყო ანგარიშვალდებული. ეს ეჭვი გაბრიელის (ბ-ნი მიშკო სანკტ-პეტერბურგში იმყოფებოდა), რომან ზაკისა და ჩემს შეხვედრაზეც გამოვთქვი.

თბილისში დაბრუნებისთანავე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროში კონგრესის საქარ- თველოს განყოფილების რეგისტრაციის პროცე- დურა წამოვიწყე. სულ რაღაც ათიოდე დღის შემ- დევ კონგრესის საქართველოს განყოფილების სარეგისტრაციო ბარათი ხელთ მქონდა.

ეს ის პერიოდი გახლდათ, როცა ჩვენ ყველანი – განსაკუთრებით კი ბ-ნი მიშკო, გაბრიელი, ერთობ მონადინებული ვიყავით კონგრესის იდეების პოპულარიზაცია-პროპაგანდას. სემკ- ის თანათავმჯდომარეთა შორის გახლდათ ღირ- სეული პიროვნება – გარემომცველთადმი ერ- თობ კეთილგანწყობილი, მედიცინის პროფესორი შალვა მარდი (მარდახიაშვილი). ბ-ნი შალვა პოპუ- ლარობით სარგებლობს სამედიცინო თუ საზოგა- დოებრივ წრეებში, თუმცა, პოლიტიკოსთა შორი- საც ბევრი მეგობარ-ამხანაგი ჰყავს მსოფლიოს ამა თუ იმ კუთხეში, ამგვარ ურთიერთობას მის კომუნიკაბელობას უნდა ვუმაღლოდეთ. ვიდრე საბჭოეთში ცხოვრობდა, რეპატრიაციისათვის იბრძოდა, ისრაელში ჩასული კი ორიოდე წლის შემდეგ კვლავ გალუთში – ამჯერად შვეიცარი- აში – აღმოჩნდა. აქედან მალე გაითქვა სახელი და დღეს ერთ-ერთი ცნობილი ქართველი ებრაე- ლია. ბ-ნი შალვა არა მხოლოდ კომუნიკაბელური, გამჭრიახი, ერთობ მკვირცხლი აზროვნების ადა- მიაწია. გაბრიელ მირილაშვილმა მოინადინა მისი 70 წლისთავი ფართოდ აღენიშნა კონგრესს. აქ ორმხრივი მოძრაობა იყო – კონგრესი თავისას მიაგებდა ამ პოპულარულ ქართველ ებრაელ მეც- ნიერს, ბ-ნი შალვას იუბილეს გადახდა კი გააფარ- თოებდა კონგრესის ცნობადობის არეალს. ასეც მოხდა.

ყრილობის შემდეგ შალვა მარდის 70 წლის იუბილე გახლდათ პირველი სერიოზული ღონისძიება. დავით ბაზოვის წინადადებითა და შემდეგ თაოსნობით, ჩატარდა მეცნიერის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერ- ენცია. დ. ბაზოვმა ბევრი იმეცადინა იმისათვის, რომ სამეცნიერო კონფერენცია კარგად ჩატარებ- ულიყო. მასში მონაწილეობა მიიღეს არა მხოლოდ ქართველმა ებრაელმა მედიკოსებმა, სხვა თემების წარმომადგენლებმაც, რუსეთიდანაც გახლდნენ მეცნიერები, მთავარი კი ის არის, რომ იუბილეზე ჩამოვიდა რუსეთის ჯანმრთელობის დაცვის სა- მინისტროს დელეგაცია, რომელსაც თავად მინის- ტრი მეთაურობდა. ეს კი სავსებით ამართლებდა დიდ ხარჯსაც და კონგრესის მოლოდინსაც.

ბ-ნი შალვას იუბილე ჩინებულად ჩატარდა. მის ღირსებას, სახელს პატივი მიაგეს. ამიტომ ჩემთ- ვის მოულოდნელი გახლდათ, როცა მოგვიანებით თბილისში ჩამოსულმა ბ-მა შალვამ მითხრა:

— ზოგიერთს კონგრესში ჩემი მისვლაც კი არ სიამოვნებს, ისე მიცქერიან, როგორც მტერს.

ეს უმნიშვნელო ეპიზოდად ჩავთვალე. თურმე მუშაობის, ურთიერთობის სტილი გამხდარა.

ასევე ერთ-ერთი პირველი ღონისძიება გახლ- დათ ქალთა საბჭოს მიერ ჩატარებული შეკრე- ბა. ქალთა კომისიის თავმჯდომარემ – თამარ მამისთვალაოვმა საკმაო ორგანიზატორული უნარი გამოავლინა – შეკრიბა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ქართველი ებრაელი ქალე- ბი. ჩამოვიდნენ აშშ-დან, საქართველოდან, ბელ- გიიდან, თუ სხვა ქვეყნებიდან. ასე რომ კონგრესმა ქალთა ყურადღებაც მიიპყრო, ისინიც გახდა კონგრესის მოღვაწეობის თანამონაწილე.

შეკრების მომდევნო დღეს ქალთა კომისიამ ერთგვარი საშაბათო უიკენდი მოაწყო – ქალები მიიწვია თელ-ავივის ერთ-ერთ სასტუმროში. ეს დღეც საინტერესო გახლდათ სხვადასხვა ქვეყ- ნებიდან ჩამოსული ქალები საუბრობდნენ თავთა- ვიანთი თემის ცხოვრებაზე.

ჯემალ აჯიაშვილი — ქართულ და ებრაულ პოეზიათა ბრწყინვალება

შალომ დავიდი

ისრაელ-საქართველოს საზოგადოებრიობამ და კერძოდ საქართველოს ებრაელობამ, მთელმა ქართულენოვანმა პოეზიამ დიდი, აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა გამოჩენილი მწერლის, მთარგმნელის, მეცნიერის და პოეტური აზრის ტიტანის ჯემალ აჯიაშვილის უდროო გარდაცვალებით. ამ ტრაგიკულმა მოვლენამ რაღაც ნითელი შუქნიშანი აანთო ჩვენს დაკორძილ ცნობიერებაში, ჩვენს წარმოსახვებში მთელ რიგ მოვლენებსა და გარემოებებზე, ნორმებსა და ფასეულობებზე. თითქოსდა შევტორტმანდით, თითქოს, აი, ეს-ესაა ჩვენც ნავიცივეით იმ მოარულ სიცოცხლისეულ ხიდზე, რომელიც ჩვენს წარსულთან გვაკავშირებს და ქვეცნობიერად; წარსული, რომელიც მიდის ისე, რომ მომდევნო თაობას აწყმოსა და მომავლის გაორებული კაემნის გამოუვალ ჩიხში ტოვებს.

ჯემალ აჯიაშვილის ნათელ სიცოცხლეში ვხედავდით ადამიანურ ღირსებას, მარადიულ გამარჯვებას წარმავალსა და კერძოზე, ვხედავდით გმირობას, რომლის ჭვრეტა ჩვენს სულს ცამდე ალამალებს, ჩვენს გულს უდიდესი ალტაცებით იპყრობს. მისი გარდაცვალების დისონანსმა ჩვენი შინაგანი სამყაროს ჰარმონია დაარღვია.

არიან ისეთი ამალღებულები და ამამალღებელი სულის ადამიანები, რომლებიც თავიანთი სიცოცხლის ერთი წლის მანძილზე ასწლიანი ცხოვრებით ცხოვრობენ. ბატონი ჯემალი, თავისი უკიდევანო შინაგანი სამყაროს წარმტაცი მშვენიერებით, სწორედ ზემოხსენებულ დიდ ადამიანთა კატეგორიას ეკუთვნოდა. იგი კეთილშობილების ზღვარს გადაცილებულ გულისხმიერების მქონე ადამიანს წარმოადგენდა, რომლის რწმენაც შეურყეველია და შეუბღალავი, უბინო სულით, გონებით და შეგნებით, უსრულყოფილესი, უკიდევანო ღრმა ადამიანური განცდებით. ადამიანი, რომლისთვისაც თავისი მოყვასისათვის ზრუნვა სიცოცხლის მეორე ნაწილად გადაქცეულა, რომლის კეთილშობილება უშუალოდ ზემოქმედებს ადამიანზე, ერთგვარად თოკავს კიდევ მას, ენას უბოროძიკებს ქვეშეუცნობ მდგომარეობაში აყენებს, ათრთოლებს, მონინებისა და რიდის გრძობის წარმოშობს მასში.

ზეალმტაცი სიცოცხლით ემსახურებოდა იგი საზოგადოებრივ საქმეს. მისი ერთგულება თავისი ერისადმი, მისი რწმენა ებრაული სულიერ-კულტურული ფასეულობისადმი, მთელი სიმძაფრით გამოვლინდა მის შემოქმედებით ცხოვრებაში. თარგმნილი აქვს მსოფლიო კლასიკა, ძველევგვიპტური საგალობლები, შექპირის, კარლო გოცის დრამატული პოემები, პასტერნაკის და სხვათა ლექსები, რომელთა ჩამოთვლა ჩვენ შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ჩემი აზრით, მისი შემოქმედების აპოგეას, მაინც, შუა საუკუნეების ებრაული პოეზიის თარგმანი წარმოადგენს.

ეს დიდი შემოქმედი, თავისი უკიდევანო განცდით და გონით, გააზრებით ისე ღრმად ჩასწვდა შუა საუკუნეების ებრაულ პოეზიას, რომ იგი თავისი არსისა და რაობის ორგანულ ნაწილად გარდაქმნა, რასაც სრული პასუხისმგებლობის გრძობით ჩვენ შეგვიძლია ვუნოდოთ შუა საუკუნე-

ნების ებრაული პოეზიის ფესვებზე აღმოცენებული ჯემალ აჯიაშვილისეული პოეზია. და სწორედ აი, ამ პოეზიიდან მწადია ვისაუბრო ჯემალ აჯიაშვილის — პოეტური აზრის ტიტანის დიდ შემოქმედებაზე.

ჯემალ აჯიაშვილის სწორუპოვარმა ტალანტმა სასწაულებრივი ნიჭიერებით წარმოსახა ანდა-ლუსიელ ებრაელთა შემოქმედებითი მემკვიდრეობა. ებრაული პოეზიის თავისეულ თარგმანებში მან შექმნა ჭეშმარიტი პოეტური მარგალიტები, რომლებშიც წარმოაჩინა ებრაული ფილოსოფიურ-რელიგიური მსოფლმხედველობა, რაც მას ანიჭებს უნივერსალურ აზრსა და მნიშვნელობას. დიახ, მისმა პოეტურმა გენიამ მკითხველის წინაშე მთელი სიცხადით, გამოსახვის ემოციურობით და ექსპრესიულობით წარმოადგინა შუა საუკუნეების ებრაული პოეზიის დედნისეული ჟღერადობის მშვენიერება, რელიგიურ გრძობათა სიღრმე, ზნეობრივი კეთილშობილება და ღვთაებასთან უშუალო შერწყმის მისტიკური სწრაფვა.

ჯემალ აჯიაშვილის ლექსთა სტროფები ელვარებენ ყოველგვარი საღებავებით, ახარებენ სმენას კეთილშობილებით, გვაოცებენ აზრთა სიღრმითა და პოეტურ სახეთა სიკაშკაშით.

„სატრფალი“ რუბრიკაში შემავალ ლექსთა თარგმანები თითქოს ჩვენ გვაბრუნებს უკვდავი „ქებათა-ქების“ ატმოსფეროში. კვლავ მრავალსაუკუნოვანი შესვენების შემდეგ დაუღწევი ჭმუნვის მოტივებით გამსჭვალულ ებრაულ პოეზიაში კვნესას იწყებენ იადონები, სივრცეში იღვრებიან ვარდისა და ამბრის სურნელებანი. აქ ყოველივე ახარებს თვალსა და სმენას, უწინარეს ყოვლისა, კი ნაზ იადონთა და ნიამორთა სიტურფე ან მათი ბაგე-ლალის და კბილ-მარგალიტის მშვენიერება... აქ-იქ გაყურებულად ჟღერენ ეროტიკული ნოტები, მაგრამ პოეტი არასდროს არ ვარდება ნატურალიზმში და არ ჰკარგავს ზომიერების გრძობას. პირიქით, ჯემალ აჯიაშვილისეული ძველებრაული პოეზია „ქებათა-ქების“ სადარად ალევგორია ისრაელისა და ღმერთის ურთიერთობას რომ ასახავს. გამიჯნურებულ წყვილებთან ერთად მის ლექსებში ზეიმობს მთლიანი ბუნება, და მათ სიხარულს უერთდებიან თუნდაც პლეადები და ვარსკვლავნი ორონისა.

შუა საუკუნეების ებრაული პოეზია ჯემალ აჯიაშვილისეულ თარგმანებში ბრწყინავს, კაშკაშებს მომაჯადოებელი ჰანგებით და თვალისმოჭრელი ელვარებით, ფერადოვნებასა და ორნამენტალობაში რომ არის გაჯერებული. ზემთაგონებულ პოეტს ნეტარების სამყაროში გადაჰყავს მკითხველი, მას განაცდევინებს სიამეს პოეზიის ბადავით და მისი დამათობელი სურნელით. ამ დიდი შემოქმედის პოეზიის კითხვისას ჩვენ თვალს გვჭრის არა მარტო ცალკეულ ელემენტთა ფერადოვნება, არამედ მთლიანობა, ის მონუმენტური სიმყარე, რაც პოეტური სრულქმნილების თვალსაზრისით გრაციის და ესთეტიკური მშვენიერების აბსოლიტურ იდეალს ქმნის.

ჯემალ აჯიაშვილი ეკუთვნის დაბადებიდან შთ-

აგონების მაღლით ცხებულ გენიალურ პოეტთა პლეადას. მის პოეზიაში სწორუპოვარი დიადობით აისახა მთელი ებრაული სამყარო, ყველა თავისი სუბსტანციური სტიქიონითურთ, მისი ეროვნული სულის მრავალფეროვნებით და მთელი სიმძაფრით გამოწილდა დრამატიზმითა და ტრაგიზმით აღსავსე ებრაელი ხალხის სხვადასხვაგვარი სულიერი განცდები, გუნება-განწყობილება, პოეტურ ფორმაში რომ აელვარდა და ხმაძლიერად აჟღერდა გრძობით აღსავსე სიტყვა, სიტყვა სასწონარმკვეთი, სასომიხდილი, თითქოსდა უიმედო, იმედმიხდილი, რაც საბოლოოდ მაღლდება იმედოვნების, სასობის მწვერვალბამდე და ჭვრეტს მთელი ისრაელი ხალხის და კაცობრიობის ნათელ მომავალს.

ეს ყოველივე წარმოსახა მისი შემოქმედების არსად და რაობად. აქ მოცემული მრწამსი, იდეა, რწმენა, თვალთახედვა, ნიაღვრება ზენარამდე აღვლენილ ერთიან საუცხოო საგალობლად.

მხატვრული სიტყვის ამ სწორუპოვარი დიდოსტატის ბუნებაში არ იყო პროზაული სისხლის ერთი წვეთიც კი, ის მთლიანად პოეზიის წმინდა ცეცხლი იყო. რასაც შეეხებოდა იგი, ყველაფერს, თავისი არსებით, თვით ყველაზე პროზაულ საგნებსაც კი აძლევდა სიცოცხლით და სინარმტაციით აღსავსე პოეტურ სახეებს. მისი ლექსი — ეს ქანდაკებაა, ფერწერაა და მუსიკაა ერთად აღებული. მისი პოეზია კი მუსიკის ამოკვნესაა, მწუხარების მელოდიაა და სიყვარულის მშვიდი ტანჯვაა ბედის ქარიშხლისაგან დაღვნილ-დაფლეთილი — ებრაული სულის მთრთოლარე ღალადად რომ ნიაღვრება და გვიზიარებს დევნილი ერის გულის ქვითინს.

ამ დიდ შემოქმედს უცილობლად შეიძლება მივუსადაგოთ ჰაინეს მიერ იეჰუდა ჰალევისადმი მიძღვნილი ტაეპი:

„... პოეტი იყო, ვით საოცრება, თვისი ეპოქის სვეტი ნათლისა, და ლაჟვარდ ცაზე ციმციმი მისი იეჰუდაელთა მზედ ციაგებდა...“

დასასრულს ვიტყვით: ო, რაზომ დიადია პოეზია ჯ. აჯიაშვილის, რომელიც თავისი ფესვებით ერწყმის პირველყოფილ ქაოსს და მაღლდება ლაჟვარდოვან ციურ მწვერვალბამდე, წარმომავლობა და ჩასვენება, დაბადება და სიკვდილი, კაცობრიობის მთელი დრამა, ყველაფერია ჩაქსოვილი მისეულ პოეზიაში. ეს პოეზია — პოეზიათა პოეზიაა!

ალარ არს ჩვენთან ეს სულიერი გიგანტი, პოეზიის ცის კაბადონს მოსწყდა მისი ვარსკვლავი, წავიდა, განერიდა მინიერებას და ზეციურ სამყაროს შეუერთდა გენიალური შემოქმედი, ქართული და ებრაული ნაციონალური კულტურების კორიფე — ჯ. აჯიაშვილი.

ჩვენ გვეუფლება სასტიკი გრძობა სიმარტოვის, ეულობის და სულიერი ობლობის. ვინ გვანუგეშებს?! ისევ ის ზენაარი? — „ანოხი ანოხი ჰუ მენახემ...“ ნეტარიმც იყოს მისი სხოვნა უკუნისამდე. ამენ!

ჯემალ აჯიაშვილს

(მოთქმით მიძღვნა)

„დავითის ფარი“ №205

ჩემო ჯემალ, ჩემო უმრწმესო ძმაო!.. ჩვენ ერთად, ერთ ქუჩაზე ვცხოვრობდით სენაკში, რომელსაც ოქტომბრის ქუჩა ერქვა, ახლა კი ცნობილი პედაგოგის კალი გრიგოლიას ქუჩა რომ ეწოდება. ცხრა წლის ვყოფილვარ მაშინ, როდესაც შენ დაიბადე...საქართველოს სახალხო გმირი ჟიული შარტავა და შენ ერთ კლასში, ერთ მერხზე ისხედით სენაკის მე-2 საშუალო სკოლაში. თქვენ, ორთავემ ქართველთა გულში უკვდავყავით თქვენივე სახელი და სიყვარული. ჟიულის შესახებ მოგონებათა სქელტანიან ნიგნში მისი მეგობრებისა და საზოგადო მოღვაწეებს შორის არის შენი მოგონებაც, სადაც წერდი: „ამას წინათ საოცარი სიზმარი ვნახე, ჩვენს მშობლიურ ქალაქში, ჩემი სახლის სიახლოვეს (ზემო მთა არის, თითქოს მწვერვალია) ვიყავი და მთაზე დავინახე ჟიული, ნათლით მოსილი, რაღაც სხვანაირი... მერე თითქოს შევხვდი კიდევ და ვკითხე, იქ რა გინდოდა-მეთქი... საოცარი სიმალღე, სინათლე და მაღლი იყო... დედამისსაც ვუთხარი ამ სიზმრის შესახებ... ჟიული შარტავა იმ სიმალღეზე და ისეთ ნათელშია, არ შეიძლება ეს შემთხვევითი იყოს. ნათელი პიროვნება იყო და სიმალღედაც იმიტომ დარჩა...“ ეს სიტყვები ახლა მთლიანად შენც გეკუთვნის.საქართველო დიდ ნათელში და დიდ სიმალღეზე მყოფს გიხილავს მარადის! შენი უფროსი მეგობარი და ქართველთა დიდი პატივისმცემელი გივი შაჰნაზარი წერს: „ჯემალ აჯიაშვილი აქ საქართველოში რომ გარდაცვლილიყო, ქართველი ხალხი მას მთაწმინდაზე აიყვანდა, რაც ქართულ ებრაული ძირძველ სიმბოლოდაც დარჩებოდა.“ ასე ფიქრობს მთელი საქართველო, მაგრამ რაკი აღთქმულ მიწაზე შენს საფლავს ღვთის ნათელი მოსავს, ვერაფერს ამბობს საქართველო, რომელიც დიდი ისტორიული წარსულით არასოდეს შორს არ მდგარა აღთქმული მიწისგან. ჩემო ნათელო კაცო, შენ რომ გისმენდი და გიყურებდი ბავშვური გულუბრყვილობით მჯეროდა გენიოსები არასოდეს ფიზიკურადაც თითქოს არ კვდებიან, შენ ჩვეულებრივად, ბიბლიურად, თავმდაბალი იყავი, შენი თავი არასოდეს არ გიკვირდა, თავდახრილად და მონინებით დადიოდი... ამ ქვეყნად შენი წასვლით ასე მგონია, რომ ისედაც დაპატარავებული კაცთასული ერი სამყარო კიდევ უფრო დაპატარავდა... შენი სიკვდილიც გოდების კედელივით იქცა ქართული სულიერებისათვის!... მშვიდობით...

რას ვპიტხ ულოპი

ამ კვირაში?

რუბრიკას უძღვება საქართველოს

მთავარი რაბინი

აბიშაი ბათაშვილი



ფეხები

არა თავზე ნაცარი და მოეწოდებინა მთელი თავისი თანამოქმედების თქმუბაზე დაბრუნება? ეს საქციელი იმაზე მოწმობს, რომ მან ბავშვების ნათქვამი ნამდვილ წინასწარმეტყველებად და შეცვიურ ნიშნად არ მიიხსნა - ებრაელებს არავითარი ცუდი არ შეეძინებოდათ.

ეს რომ გავიგოთ, უნდა ვიკითხოთ რატომ და როგორ გადაწყდა ებრაელების განადგურება?

ესთერის გრაფიკაში ეს ისეა ახსნილი: მსოფლიოს ყველა ხალხი ქედს უხრიდნენ ჰამანს. ებრაელი მორდენა ერთადერთი იყო, რომელმაც იუარა ასე მოქცეულიყო. სუსტად ამან გამოიწვია ჰამანის მრისხანება. მას შემდეგ, რაც ამის მიზეზი გამოიძია და მისთვის ცნობილი გახდა, რომ მორდენას უარი მისი პირადი გადაწყვეტილება კი არ იყო, არამედ ის მისი ებრაელობის გამო იქცეოდა ასე, რაც კერძოთაგანისმცემლობის ყოველგვარ გამოხატულებას უარყოფდა - მთელ ებრაელ ერზე გადაწყვიტა შურისძიება.

ჩვენი სეტარსხეუბული ბრძენები გვისხნიან, რომ ამ უბრალო ამბის უკან შინაგანი, უფრო ღრმა მიზეზი იმალება. შხაკვარი ჰამანი საკუთარ თვალში ღმერთს იხილდა. მას ასევე უყურებდნენ ის ადამიანები, რომლებიც ქედს უხრიდნენ მას. მხოლოდ მორდენა არ იქცეოდა ასე. მან უარი განაცხადა კურთხეული გამჩენის რწმენას განდგომილად და ადამიანისთვის მოეხარა ქედი. მაგრამ სხვა დანარჩენი ებრაელები ასე ძლიერნი არ იყვნენ თავიანთ რწმენაში, და „რადგან ქედს უხრიდნენ კერპებს“, თუნდაც ეს მხოლოდ დასახანავად ყოფილიყო, მათზე ეს ავი გადაწყვეტილება იქნა დადგენილი.

მორდენამ იცოდა სად შეცდნენ მისი ხალხის შევილები. მან ავი გადაწყვეტილების შესახებაც იცოდა და ამიტომ შფოთავდა. მის შიშს ის წარმოადგენდა, რომ რამაც ჰამანის მიმართ ქედის მოხრა გამოიწვია, - მოქმედება, რაშიც კერძოთაგანისმცემლობის ასპექტია - ეს რწმენაში დასუსტებას ნიშნავს. ამიტომ იმართდა სულიდან მომავალი ბავშვებისკენ. მათი სამუდებო შექცევა გამოიწვია რწმენის რა დონეზე იდგა ხალხი. რა ძირითადი ფასეულობები ჰქონდა მას და როდესაც ბავშვებმა იმ ფასეულების ციხატებით უპასუხეს, რომელთა მნიშვნელობა რწმენა და ღმერთის მინდობაა - გაიგო, რწმენის შესუსტება მხოლოდ გარე გამოხატულება იყო, შიშით, გულში - რწმენა ჯერ კიდევ ჰქონდა ხალხს.

ამიტომ გაიხარა მორდენამ, როდესაც ბავშვების ნათქვამი მოიხსნა. არა იმიტომ, რომ მათ ნათქვამში ერთგვარი წინასწარმეტყველება დაინახა, არამედ ძირითადად იმიტომ, რომ დარწმუნდა, შინაგანი რწმენა მთელი ძალით არსებობდა და საქართვო იყო ამ რწმენის გამოვლინება. აღარაფერი დაარჩნოდა გარდა იმისა, რომ ისეთი ქმედებისთვის მიემართა, რაც ხალხში ამ რწმენას ვარაუზულადაც გამოავლინებდა. ეს იყო მის მიერ გამოცხადებული მარხვების მნიშვნელობა: გამოვლინა შინაგანი რწმენა, რაც ავი გადაწყვეტილების გაუქმებას გამოიწვევდა.

ბავშვების მიერ ციტირებული სამი ფასეულის თანამოქმედობა გამოხატავს რწმენისა და ღმერთის მინდობის ასეთ დონეს.

პირველმა ბავშვმა თქვა: „ნუ შეგემინდება უცარი შიშისა და ბიწიერთა უბედურებისა, როდესაც მოგა“. ესე იგი, შენ შესაძლოა თვალთ „უცარი შიშის“ ან „ბიწიერთა უბედურების“ მოახლოებას ხედავდე, მაგრამ „ნუ შეგემინდება“. რატომ? ამ ფასეულის გონებრივი განმარტება არ გააჩნია. ეს ებრაელი ბუნებრივი რწმენით უნდა იქნეს ახსნილი, რომ ყოველივე, რაც ქვეყნად ხდება, გამჩენისგან მოდის და ამიტომ კარგია ის. ეს არის ღმერთის რწმენის პირველი და ყველაზე ფუნდამენტური დონე.

მეორე ბავშვმა თქვა: „ურჩიეს რჩევა და დაირღვევა, თქვეს სიტყვა და არ აღსრულდება, რამეთუ ღმერთი ჩვენთანაა“. აქ ლაპარაკი მხოლოდ შიშის უარყოფაზე („ნუ შეგემინდება“) კი არაა, არამედ სრულ რწმენასა ღმერთის მინდობაზე, რომ ბოროტი რჩევა „დაირღვევა“ და ავი ასევე „არ აღსრულდება“. რატომ? ეს გონებრივადაც აისხნება: „რამეთუ ღმერთი ჩვენთანაა“. ეს იმაზე ამოწმებს, რომ რწმენა იმდენად საფუძვლიანია, რომ ის გონებასა და ცნობიერებაშიც აღწევს.

მესამე ბავშვმა თქვა: „და სიბერემდე მე ვარ ის, და მოხუცებულობამდე ვიტანჯები, მე ვქენ და მე ვწევ, მე ვეცხვები და ვავიქცევ“. ამ ფასეულის ნახსენებია ისეთი ბუნებრივი მოვლენები, როგორცაა „სიბერე“ და „მოხუცებულობა“, ის, რის შემთქმედებასაც ადამიანი ბუნებრივად ექვემდებარება. მაგრამ მისუხდავად ამისა, ებრაელს სწამს, რომ რადგან ეს ბუნებრივი მოვლენებიც კურთხეული ღმერთის მიერ არის წარმართული, „მე ვქენ და მე ვწევ“, ის - ებრაელი - მათ შემთქმედებას არ ექვემდებარება, პირიქით, მას მათზე შემთქმედების მოხდენის ძალაც უსწევს. ასეთი დონის რწმენა ყოველგვარ რწმენაზე მაღალია. ებრაელმა იცის, რომ ყველაფერი, - ყოველი გამოხატულების გარეშე - რაც „ბუნებრივად“ არის განსაზღვრული, კურთხეული ღმერთის აბსოლუტური ხელისუფლების ქვეშ იმყოფება.

ფორთხი გვასწავლის, რომ როდესაც ებრაელი ხალხის მდგომარეობის ცოდნა სურთ, „სკოლიდან მომავალი“ ისრაელის ბავშვების საქციელი უნდა შეამოწმონ. როდესაც ბავშვების რწმენითა და ღმერთის მინდობით აღზრდნენ სრულწლოვან, სწავლის შემდეგ სკოლიდან ქუჩაში მამაკაცებიც ძალიან თორის ფასეულებიდან იკრებიან, რომ ებრაელ ხალხს არანაირი მისეზი და საფუძველი არ გააჩნია მტარავალსა და შემჭირვებელს რომ შეუშინდეს.

ბავშვების ასეთი აღზრდა მოიტანს სრულ ხსნას. როგორცაა ნათქვამი: „და მოაბრუნა მამების გული შვილებისკენ“ - შვილების მუშევრით. ბავშვები არიან ისინი, რომლებიც მამებსაც და მთელ ებრაელ ხალხსაც რწმენის ფასეულობებისა და თორითა და მცნებებით ცნობიერებისაგან მოაბრუნებენ. ისინი მოიტანენ ჩვენი მამიანის მუშევრით სრულ გულსას.

დენის დავითაშვილის ინიციატივა

ისრაელსა და პოსტსაბჭოთა რამდენიმე ქვეყანას შორის არსებობს პენსიათაშორისო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ისრაელში საცხოვრებლად გადასული ამ ქვეყნების ყოფილი მოქალაქეები პენსიას მაინც იღებენ, რადგან ამ ქვეყნებში 15-წლიანი სამუშაო სტაჟი გააჩნიათ. ეს საკითხი საქართველოსა და ისრაელს შორისაც დაისვა და ამჟამად მასზე კომპეტენტური ორგანოები მუშაობენ, „მენორა“ ამ თემის ერთ-ერთ ნამომწყებს ცნობილ პროფკავშირულ მოღვაწეს ბ-ნ დენის დავითაშვილს ესაუბრა.

დენის დავითაშვილი: შარშან, ნოემბრის დასაწყისში, ისრაელში მივლინებით ყოფნის დროს ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ისრაელსა და უკრაინას, ისრაელსა და ლიტვას და ისრაელსა და რუსეთს შორის არსებობს ხელშეკრულება საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ. თითოეული ზემოთ ხსენებული ხელშეკრულება მოიცავს განსხვავებულ პირობებს. დამებადა კითხვა: საქართველოსა და ისრაელს შორის 26-საუკუნოვანი მეგობრობა არსებობს, ეს ურთიერთობები როგორც სიტყვით, ასევე საქმიანად განმტკიცებულია და რატომ არ დამდგარა დღის წესრიგში ეს საკითხი? სულ მალე ყველაფერი ნათელი გახდა. ეს საკითხი 3-4 წლის წინ დღის წესრიგში დამდგარა, თუმცა, საქართველოს მხრიდან არანაირი რეაგირება არ ყოფილა, დაზუსტებით მიზეზებს ვერ მოგახსენებთ. დღეს ქვეყანა სხვა მდგომარეობაში იმყოფება. თბილისში შეხვედრა გაემართე პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტში, მისი თავმჯდომარისგან თედო ჯაფარიძისგან დიდი სურვილი გამოითქვა, რომ ამ თემის განხილვა თავიდან დაწყებულიყო. მთხოვეს, ოფიციალურად დამეყენებინა ეს საკითხი და წარმედგინა გარკვეული საბუთები აღნიშნულ თემისთან დაკავშირებით. ამის შემდეგ ბატონმა თედომ ეს საკითხი სოციალურ საკითხთა და ფინანსების კომიტეტთან — ბატონ დიმიტრი ქურდაძესთან განიხილა და შემდეგ ყველა მასალა ქალბატონ მაია ფანჯიკიძის სტრუქტურას გადასცეს. პარალელურ რეჟიმში მომინია ისრაელში ყოფნა და ქნესეთის იმ დეპუტატებთან მქონდა შეხვედრები, რომლებიც წინა წლებში ამ საკითხზე საქმის კურსში იყვნენ, მაშინ ინიციატორი თვითონ ისრაელის სახელმწიფო იყო და როდესაც გაიგეს, რომ ეს საკითხი საქართველოს პარლამენტში დაყენებული გექონდა, გაეხარდათ. მივედი თლოკიურ დასკვნამდე: 22 იანვარს ისრაელში უნდა ჩატ-

არებულიყო ქნესეთის არჩევნები, რომლის დასრულების შემდეგ დაინიშნებოდა ახალი მინისტრი, შეიკრიბებოდა ალიის, აბსორბციისა და დიასპორის ახალი კომისია, საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფი და შემდეგ ახალ ჯგუფთან განვიხილავდით ამ თემას. რასაკვირველია, ჩატარდა არჩევნები და იმ ოთხი დეპუტატიდან, ვისთანაც წინასწარი მოლაპარაკება მქონდა ორი აირჩიეს, მათ შორის ის, ვინც იყო საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელი და ალიის აბსორბციისა და დიასპორის კომიტეტის წევრი აბრაამ მიხაელი.

— რას ითვალისწინებს ეს საკითხი?
— მოგახსენებთ, ისრაელსა და უკრაინას შორის არსებული ხელშეკრულების ასპექტებს, რაც შეიძლება მაგალითი იყოს საქართველოსა და ისრაელს შორის ამ საკითხის გადანყვეტის დროს. უკრაინასა და ისრაელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს: თავის მოქალაქეებს, რომლებმაც უკრაინაში 15 წლის განმავლობაში იმრომეს და მიაღწიეს 67 წელს, პენსია ეკუთვნით. ანუ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 15 წლის განმავლობაში მუშაობდნენ საქართველოში და შემდეგ ისრაელში გადავიდნენ, საქართველოს პენსია ეკუთვნით. ამაზე გადანყვეტობა უნდა მიიღონ შესაბამისმა უწყებებმა, მაშინ როდესაც საპენსიო კანონში იქნება შეტანილი ცვლილება, რომ პენსია ეკუთვნით საქართველოს ყოფილ მოქალაქეებს, რომლებიც სამუდამოდ წავიდნენ საცხოვრებლად ისრაელში. ამავე დროს, ისრაელმა და უკრაინამ გააფორმეს ხელშეკრულება იმაზე, რომ თუ ყოფილი უკრაინის მოქალაქე გახდა ისრაელის მოქალაქე და შემდეგ გარკვეული მიზეზების გამო ისევ უკრაინაში დაბრუნდა საცხოვრებლად და არ დაუკარგია ისრაელის მოქალაქეობა, ისრაელის ქვეყანა პენსიას მაინც გადაუხდის მიუხედავად იმისა, რომ ისინი მუდმივად ისრაელში არ ცხოვრობენ. არის მესამე მომენტიც, თუ ისრაელში გადასვლის შემდეგ უკრაინის ყოფილი მოქალაქე 67-წლამდე ვერ მიაღწევს იმ სტაჟს, რასაც ითხოვს ისრაელის კანონმდებლობა პენსიის მისაღებად ამ შემთხვევაში ამ კატეგორიის ადამიანებს ისრაელი თვლის უკრაინაში ნამუშევრის 15-წლიან სტაჟს და ჩვეულებრივ პენსიას უნიშნავს. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი, ანუ თუ იმუშავა საქართველოში, შემდეგ გადავიდა ისრაელში და იქ იმუშავა 7-8 წელი ამ წლებს დაემატება საქართველოში ნამუშევარი

15 წელი და ეძლევა სოლიდური პენსია. ამიტომაც ველოდებით იმას, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო მიიღებს გადაწყვეტილებას ქვეყანაში უწყებათაშორისო კომისიის შექმნის შემდეგ, რომელშიც შევა საგარეო საქმეთა სამინისტრო, სოციალურ საკითხთა, შრომის და ჯანდაცვის სამინისტრო, ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროები, ნარმომადგენლები საქართველოს პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტიდან, ასევე სოციალურ საკითხთა და ჯანდაცვის კომიტეტიდან, საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტიდან, კომისია იმსჯელებს ამ საკითხის მიზანშეწონილობაზე და იმის შემდეგ ამ ჯგუფს დიპლომატიური არხებით შეუძლია დაუკავშირდეს ახლადარჩეულ ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრს, საგარეო საქმეთა სამინისტროს და დაიწყოს მოლაპარაკება. ჯერ-ჯერობით უნდა შეიქმნას კომისია, რომელიც იმსჯელებს ამ საკითხზე და იქნას თუ არა მიღებული საქართველოსა და ისრაელს შორის უკრაინასა და ისრაელს შორის ხელშეკრულების ანალოგი.

— რამდენი ქართველი ებრაელია ისრაელში საპენსიო ასაკში მიღებული?

— ეს საკითხი წინ წავნიე, ოფიციალური წერილით მივმართე ისრაელის აბსორბციის მინისტრს ქალბატონ — სოფა ლანდვერს და მივიღე პასუხი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან — ე. ი. 1991 წლიდან ისრაელში რეპატრირებული 67 წელს მიღებული ან უფრო ასაკოვანი 2978 მამაკაცია. ქალბატონები — უფრო ნაკლებია, რადგან ცნობილია: საქართველოდან წასული ქალბატონები ძირითადად დიასპორაში არიან და აქ 15-წლიანი სამუშაო სტაჟი ვერ ექნებათ, მათმა რაოდენობამ შეიძლება 100 ერთეულს არც მიაღწიოს. შეიძლება 15-წლიანი სტაჟი იმ მამაკაცებსგანაც არ ჰქონდეს ყველას და მათმა რაოდენობამ დაახლოებით 2500 მიაღწიოს. პენსიის რაოდენობა წელიწადში დაახლოებით 3 მილიონი ლარი იქნება. ამ საკითხის მოგვარებით აღდგება სამართლიანობა, რომ საქართველოში მუშაობის დროს მათ არ დაუკარგავთ შექმნილი დოვლათი. მეორე: ისრაელში მიღებულ დახმარებასთან ერთად საქართველოს პენსიასაც მიიღებენ, რაც მათ ფინანსურ მდგომარეობას კიდევ უფრო გააუმჯობესებს და მესამე: ეს იქნება დასტური იმისა, რომ ორ ქვეყანას შორის 26 საუკუნის ურთიერთობა არ შეცვლილა და პირიქით, კიდევ უფრო ღრმავდება და ძლიერდება.

